საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- და მოსამართლე -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №153/17

-- 2017 წლის 5 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- და მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 02 მარტის №153/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 21 ოქტომბერს მიმართა ადმინისტრაციული სარჩელით -- სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ქმედების დავალების და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. -- სასამართლომ დაუდგინა ხარვეზი ერთხელ, მეორედ და არ გადააგზავნა საქმე განსჯადობით -- სასამართლოში, რის შემდგომაც, მოსამართლე -- შეწყვიტა საქმე გასაჩივრების ვადის

გასვლის გამო.

საჩივრის ავტორი -- უკანონოდ მიიჩნევს -- სასამართლოს მოსამართლის -- გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, ამასთან, ასევე უკანონოდ თვლის - - სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- გადაწყვეტილებას, რომელმაც არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი აღნიშნულ საქმეზე.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლეების -- -- და -- -- მხრიდან ადგილი ქონდა მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას, ვინაიდან დაარღვიეს მისი კონსტიტუციური უფლება - მიმართოს სასამართლოს უფლებების დასაცავად.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 04 მარტის №17658 წერილით, -- ეცნობა, რომ -- სასამართლოს მიერ 2006 წლის 7 აპრილის №-- სააღსრულებო ფურცლის (გამოწერილი -- სასარგებლოდ) საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო საქმისწარმოება დასრულებულია.

-- 2015 წლის 18 მარტს საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსს, რითაც იგი არ ეთანხმებოდა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 04 მარტის №-- წერილით მიწოდებულ ინფორმაციას სააღსრულებო საქმისწარმოების დასრულების თაობაზე და ითხოვდა -- სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად იძულებით აღსრულებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 17 აპრილის №-- ბრძანებით, -- უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ბრძანება -- პირადად ჩაბარდა 2015 წლის 27 აპრილს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 17 აპრილის №1508 ბრძანების გაუქმების მოთხოვნით, -- სხვადასხვა პერიოდში მიმართა სარჩელით სასამართლოს, კერძოდ, პირველად - 2015 წლის 21 მაისს, რაც თვითონვე გამოიხმო 2015 წლის 03 ივლისს, ანალოგიურად, შემდგომ პერიოდშიც, იგივე მოთხოვნით სარჩელით მიმართვის ყველა შემთხვევაში - 15/07/2015, 01/09/2015, 09/11/2015, 14/01/2016, 23/01/2016, 17/02/2016, 01/04/2016, 24/06/2016, 23/08/2016, საქმის არსებით განხილვამდე -- უკან იხმობდა სარჩელს.

-- 2016 წლის 27 ოქტომბერს კვლავ მიმართა სარჩელით -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების

ეროვნული ბიუროს უფროსის 2015 წლის 17 აპრილის №1508 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება და ზიანის ანაზღაურება.

-- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 07 დეკემბრის განჩინებით, სარჩელზე ორჯერ ხარვეზის დადგენისა და საპროცესო ვადის გაგრძელების შემდგომ, -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2016 წლის 23 დეკემბერს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა შესაგებელი.

-- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- 2017 წლის 27 მარტის განჩინებით, მოსარჩელე -- სარჩელზე შეწყდა საქმისწარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო. სასამართლოს მიერ ყურადღება გამახვილდა იგივე საფუძვლით, სხვადასხვა დროს -- მიერ სასამართლოსადმი ანალოგიური სარჩელით მიმართვის არაერთ შემთხვევაზე და შემდგომ სარჩელის უკან გამოხმობის ფაქტებზე, რა მიზეზითაც, მოსარჩელე მხარემ გაუშვა აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 17 აპრილის №-- ბრძანების გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

2017 წლის 13 აპრილს, -- კერძო საჩივრით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად პირველ ინსტანციაში დაბრუნება.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- 2017 წლის 01 მაისის განჩინებით, -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ -- ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა -- კერძო საჩივარი და 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით უცვლელად დატოვა -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური

გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში (რასაც მომჩივანი უთითებს), შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.)

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სასამართლოსადმი მიმართვის უფლების

შეზღუდვას უკავშირებს მის სარჩელზე საქმისწარმოების შეწყვეტის ფაქტს, რასთან დაკავშირებითაც, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს თვითონ საჩივრის ავტორის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებების შედეგად დამდგარ ფაქტობრივ მოცემულობაზე (გასაჩივრების ვადის გასვლა), რაც გახდა მიზეზი საქმისწარმოების შეწყვეტის. საქმეში წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით, მომჩივანმა -- 2015-2016 წლებში თერთმეტჯერ გაასაჩივრა სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის 2015 წლის 17 აპრილის №-- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და აქედან ათჯერ უკან გაიხმო სარჩელი. ამდენად, სასამართლო მოქმედებდა არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ამასთან, კონკრეტული ვადის დარღვევის გამომრიცხავი რაიმე მტკიცებულება არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი, გარდა ზოგადი აღნიშვნისა, რომ მოსამართლეებმა -- და -- დაარღვიეს მისი კონსტიტუციური უფლება - მიმართოს სასამართლოს უფლებების დასაცავად.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით,

სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- და მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №153/17 მოსამართლე -- და მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი